



# საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 3  
01/03/2017

3-06-4-201703011923



## დადგენილება №3

2017 წლის 01 მარტი

### „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### ა დ გ ე ნ ს :

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 01/01/2017/ წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016280 ) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

#### შემცირდეს:

- ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 01 01 – 2.2.4.) – 3 000 ლარით;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 01 – 2.2.8.1.) – 4 000 ლარით;
- გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 01 – 2.2.10.14.) – 1 000 ლარით;
- დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კავშირგაბმულობის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 02 – 2.2.3.10.) – 20 000 ლარით;
- ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კომუნალური ხარჯი, წყლის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 02 – 2.2.3.12.2.) – 2 500 ლარით;
- ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კომუნალური ხარჯი, ბუნებრივი და თხევადი არის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 02 – 2.2.3.12.3.) – 2 500 ლარით;

- ზ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლობითი ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 01 02 - 2.2.4.) – 10 000 ლარით;
- თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 02 - 2.2.8.1.) – 9 000 ლარით;
- ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 02 - 2.2.10.14.) – 15 000 ლარით;
- კ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყალმაშველთა ჯგუფი, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 02 01- 2.5.) – 13 000 ლარით;
- ლ) გზების რეაბილიტაცია , სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი 03 01 01 - 2.2.10.14.) – 160 000 ლარით;
- მ) თვითმმართველი თემი-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ.- „მუნიციპალური მომსახურების ცენტრი”, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 03 02 03 - 2.5.) – 60 000 ლარით;
- ნ) ელექტროენერჯის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 03 02 05 - 2.2.3.12.1.) – 50 000 ლარით;
- ო) წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 03 02 06 - 2.5.) – 42 000 ლარით;
- პ) საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი 03 04 - 2.2.10.14) – 200 000 ლარით;
- ჟ) კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 05 02 01 - 2.2.10.14.) – 60 000 ლარით;


რ) ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი 05 02 02 - 2.5.) – 30 000 ლარით;

**შესაბამისად გაიზარდოს:**

ს) ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 - 61.1.1.11.) – 682 000 ლარით;

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო